



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

02 მაისი 2024



N 21/4596

შპს „მემული ჰესის“ დირექტორს
ბატონ კონსტანტინე მჭედლიშვილს
მის: ქ. თბილისი, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა №100
ელ.ფოსტა: k.mchedlishvili@peri.ge

ასლი: სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს

ბატონო კონსტანტინე,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი N938 განცხადება, რომელიც ეხება მესტიის მუნიციპალიტეტში, მდინარე ცხვანდირზე 11.01 მგვტ დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის (მემული ჰესის) მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- წარმოდგენილი უნდა იქნას N70 სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი ინფორმაცია, სადერივაციო-სადაწნეო მილსადენით გადასაკვეთი მუდმივი და დროებითი ნაკადების/შენაკადების შესახებ (ჰიდროლოგიური მახასიათებლები, მათ შორის საშუალო წლიური ხარჯების, მაქსიმალური ხარჯების და ა.შ. მითითებით);
- წარმოდგენილი უნდა იყოს სათავე ნაგებობის და ჰესის შენობის გასწორში წყლის ხარჯებისა და სიღრმეების დამოკიდებულების მრუდები. ამასთან, განსაზღვრული უნდა იქნას მდინარის კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმე სათავე ნაგებობის და გამყვანი არხის მახასიათებელ გასწორში;
- წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე ჩატარებული საველე კვლევების მიზანი, მეთოდოლოგია და შერჩეულ სანიმუშო ფართობებზე იდენტიფიცირებული მცენარეული თანასაზოგადოებების (ჰაბიტატების) სრული ფიტოცენოლოგიური ანალიზი, კერძოდ: ჰაბიტატის ზუსტი გეოგრაფიული მდებარეობა (GPS კოორდინატებით) და ადგილსამყოფელის თავისებურებები (სიმაღლე, ფერდობის ექსპოზიცია, დედაქანის ტიპი, მიკრორელიეფი, ნიადაგი, დატენიანების ტიპი და ხარისხი, ტყის მკვდარი საფარის მახასიათებლები); ფიტოცენოზის (ჰაბიტატი) ტიპი, სრული ფლორისტული შემადგენლობა და დომინანტი სახეობების სტრუქტურული მახასიათებლები (იარუსი, სიმაღლე, ჰორიზონტალური განაწილების თავისებურება, პროექციული დაფარულობა); ტყის ფიტოცენოზში მთავარი საბურვლის (ხეების იარუსი) კალთაშეკრულობა, ხეების სიმაღლე, დიამეტრი, გაბატონებული ხნოვანება; ფიტოცენოზის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტიულობა (სტაბილურობის ხარისხი

ბუნებრივი განახლების მიხედვით, გარემო ფაქტორების ზემოქმედების ხარისხი); ფიტოცენოზის (ჰაბიტატი) საკონსერვაციო ღირებულება;

- წარმოდგენილი უნდა იქნას ჰესის ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიებზე დაფიქსირებული სტიქიური გეოლოგიური პროცესების კოორდინატები, მათ შორის საპროექტო მილსადენის განთავსების არეალში, სიღრმითი ეროზიული პროცესების გადაკვეთის წერტილების ადგილმდებარეობები;
- ვინაიდან, სამშენებლო ბანაკებს შორის დაშორება შეადგენს 2 კმ-ზე მეტ მანძილს, წარმოდგენილი ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი შესრულებული უნდა იყოს თითოეული ბანაკისათვის ცალ-ცალკე. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) ნორმების პროექტი შესრულებული უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილების მე-10 მუხლის შესაბამისად;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული სადაწნო მილსადენის გეგმა არასრულყოფილია (არ არის მაღალი ქანობის უბანი), რაც საჭიროებს კორექტირებას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ჰიდროკვანძის გენერალური გეგმა;
- წარმოდგენილი უნდა იქნას სათავე ნაგებობის მშენებლობის სქემა (სამშენებლო ხარჯების გატარების ეტაპობრიობა) სათანადო ჭრილებით და დონეებით;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მდინარე ცხვანდირზე მთელი დღის განმავლობაში ჩატარებული იქთიოლოგიური კვლევისა და ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ სათავე ნაგებობის ზედა და ქვედა ბიეფში თევზი ვერ აღწევს. შესაბამისად, აღარ არის გათვალისწინებული თევზსავალი ნაგებობის მოწყობა. ერთი დღის კვლევებსა და გამოკითხვებზე დაყრდნობით, თევზსავალის სათავე ნაგებობის შემადგენლობიდან ამოღების დასაბუთება არასაკმარისია. შესაბამისად, თევზსავალის არმოწყობის საკითხი საჭიროებს საფუძვლიან დასაბუთებას. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ჰესის წყალმიღებამდე თევზი ვერ აღწევს და ამის მიზეზი **შესაძლოა იყოს** ბუნებრივი ბარიერები, რომელიც მრავლად გვხვდება მდინარე ცხვანდირის კალაპოტში. თუმცა, თევზის გადაულახავი ბარიერების შესახებ ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ერთი სურათი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გაკეთდეს დეტალური ანალიზი ჰესის მიმდებარედ და სათავე ნაგებობასთან თევზის გავრცელების შესახებ, გადაულახავი ბარიერების აღრიცხვით, რუკაზე დატანით და დეტალური აღწერით (სიმაღლე, დინების სიჩქარე და თევზის მიერ ბარიერის დამლევის შესაძლებლობა), რითიც შესაძლებელი იქნება სრულყოფილად შეფასდეს კალმახის ლოკალიზებული პოპულაციის გავრცელების არეალი, ჰესის ზეგავლენის დონე და თევზსავალი ნაგებობის არ მოწყობის შესაძლებლობა. ასევე, უნდა დადგინდეს თევზის რაოდენობრივი მაჩვენებლები მდინარეში;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია დათევზიანების გეგმა, თუმცა აღნიშნული გეგმა საჭიროებს მეტ განმარტებას. ვინაიდან, შერჩეულია დათევზიანება 3 გრ. მასის კალმახის ლიფსიტით და არა „თვალედის“ სტადიაზე მყოფი ქვირითით, ამასთან, განხილულია ადრეული კალმახის გარემოსთან ადაპტაციური უნარების თავისებურებები და აღნიშნულია, რომ 3 გრ. მასის მიღწევისას ლიფსიტს აჭმევენ მეურნეობებში გრანულირებულ საკვებს მაშინ, როდესაც ლარვა ეგზოგენურ კვებაზე გადადის გაცილებით ადრეულ სტადიაზე. აღნიშნული ჩანაწერი სავარაუდოდ გულისხმობს ამ ფაზაზე ბუნებრივი საკვებით გამოკვებას, მაგრამ დეტალები დოკუმენტაციაში მოცემული არ არის. ამასთან, ვინაიდან დათევზიანების შერჩეული მეთოდი გაცილებით რთულია (მეურნეობის მოძიება, სამუშაოების ინდივიდუალურად წარმოება და ა.შ.), საჭიროა აღნიშნული

მეთოდის შერჩევასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის (მეთოდოლოგია, პრაქტიკა სხვა ქვეყნებში და ა.შ) წარმოდგენა;

- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო-საექსპლუატაციო გზა სადაწნეო მილსადენის მაღალი ქანობის მონაკვეთს რვა ადგილზე კვეთს, თუმცა ისინი ნაჩვენები არ არის მილსადენის გრძივ კვეთზე. ასევე მოცემული უნდა იყოს მათი სქემატური ნახაზი და განხორციელების (გზის და მილსადენის გაყვანის) ტექნოლოგიური სქემა. გარდა ამისა, დაზუსტებას საჭიროებს გათვალისწინებულია თუ არა მილსადენზე საინსპექციო ჩანართების (მილტუჩებიანი) მოწყობა;
- ვინაიდან, „ტიროლის“ ტიპის წყალმიმღებზე „ეარლიფტის“ თევზამრიდის მოწყობა არაეფექტურია, დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას და შესაბამის დასაბუთებას საჭიროებს აღნიშნული თევზამრიდის მოწყობის მართებულობის საკითხი. ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში, „ეარლიფტის“ თევზამრიდის მოწყობა განხილულ იქნას სალექარში, წმინდა გისოსთან;
- მილსადენის ტრასის ფერდობების (1:0.25 აღმატება ნორმატივებით დასაშვებს) და მილსადენის მაღალი ქანობის უბანზე (პკ17+80-დან) უკუყრილის მდგრადობა საჭიროებს დასაბუთებას. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას ჰიდრავლიკური დარტყმის საანგარიშო სიდიდე და მილსადენის კედლის სისქის დასაბუთება;
- წარმოდგენილ უნდა იყოს სალექარის შემოღობვისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- გზშ-ის ანგარიშის მიხედვით, სალექარზე გათვალისწინებულია უქმი წყალსაგდების მოწყობა, თუმცა არ არის მოცემული ჰიდრავლიკური ანგარიშები და გაურკვეველია რამდენად საკმარისია მისი სიგრძე (4 მ);
- მცინვარები ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია ქვეყანაში წყლის რეჟიმისა და რეგიონული კლიმატის ფორმირებისათვის. ამასთან, კლიმატის თანამედროვე ცვლილების გამო მიმდინარეობს მცინვარების სწრაფი დეგრადაცია. მცინვარებთან არის დაკავშირებული გლაციოლოგიური ხასიათის კატასტროფების გამოვლენა – მცინვარების ჩამოქცევა, მდინარეთა კალაპოტის ჩახერგვა, გლაციოლოგიური ღვარცოფები და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე მდინარე ცხვანდირის ხეობაში არსებულ მცინვარებზე სავლელ და დისტანციური ზონდირების მეშვეობით მონიტორინგის შესახებ, ასევე ვინაიდან მცინვარული გენეზისის მემულის ტბის (რომელიც მდებარეობს სათავე ნაგებობიდან დაახლოებით 3,5 კმ-ში) შემაკავებელი მორენული ნატანი ტბის გარღვევის გარკვეულ საფრთხეს შეიცავს, განხილული უნდა იყოს მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპზე მემულის ტბის მდგომარეობის მონიტორინგის შესახებ ინფორმაცია;
- ტყის სტატუსის შეწყვეტა რეგულირდება საქართველოს კანონი „ტყის კოდექსის“ მე-13 მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2021 წლის 06 ოქტომბრის №496 დადგენილებით დამტკიცებული „ტყის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტისა და ტყის საზღვრების დადგენისა და კორექტირების/შეცვლის წესის“ შესაბამისად. ამავე დადგენილების მე-12 მუხლის 1 პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით, ტყის სტატუსის შეწყვეტა (ამორიცხვა) შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით: საქართველოს სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების ინტერესები; აგრეთვე, განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროექტის განხორციელება, წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის, ჰიდროკვანძებით, ელექტროსადგურებით, მილსადენებით, ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისთვის ან/და ბუნებრივ რეზერვუარში მოწყობილი გაზის საცავით სარგებლობა, გზების, ელექტროგადამცემი კომუნიკაციების, ელექტრონული ქსელებისა და არხების მშენებლობისთვის/ფუნქციონირებისთვის ან ამისთვის საჭირო საპროექტო ან/და საინჟინრო-გეოლოგიური

სამუშაოების შესრულება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ტყის სტატუსის შეწყვეტის მიზნობრიობასთან დაკავშირებით, კერძოდ: ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა სახის საქმიანობაა დაგეგმილი უშუალოდ სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ამასთანავე დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს დეტალური დასაბუთება, თუ რატომ არის საქმიანობის განხორციელება შეუძლებელი განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის ფარგლებში;

- გზმ-ს ანგარიშის თანახმად „საქმიანობისას ძირითადი საფრთხე და მნიშვნელოვანი ზემოქმედების ალბათობა ძირითადად წყლის ბიომრავალფეროვნებაზე და წყალთან ახლოს მობინადრე სახეობებს ემუქრებათ. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს წყლის ჰაბიტატებზე სასიცოცხლოდ დამოკიდებულ სახეობებზე: თევზებზე, ამფიბიებზე, ხოლო ძუძუმწოვრებიდან – წავზე, კერძოდ მის ტერიტორიაზე შემოსვლის შემთხვევაში, ამ სახეობაზე ზემოქმედების გამოვლენასა და საჭირო ღონისძიებების განხორციელებაზე. ეს უნდა მოხდეს დამატებითი წინასამშენებლო კვლევისა და მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული დაკვირვებების ფარგლებში“. წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წინასამშენებლო კვლევის ანგარიშისა და მის საფუძველზე მომზადებული რეკომენდაციების მშენებლობის დაწყებამდე სააგენტოსთან შეთანხმების შესახებ;

ტექნიკური სახის ხარვეზი:

- გზმ-ის ანგარიშის სხვადასხვა თავებში აღნიშნულია, რომ „წყალსაშვიანი სათავე ნაგებობის და ტიროლის წყალმიმღებს შორის მოწყობილია გამრეცი რაბი...“, „წყალმიმღები გადახურულია დახრილი ფოლადის გისოსით“ და სხვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის სამშენებლო/მოწყობით სამუშაოებთან დაკავშირებით;
- გზმ-ის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ერთ-ერთ საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.2. ქვეპუნქტით (ნარჩენების განთავსება) განსაზღვრული საქმიანობა, თუმცა დოკუმენტაცია არ მოიცავს ინფორმაციას აღნიშნული ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის შესახებ. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქვეტყეში, განსაკუთრებით ფერდობის ზედა ნაწილში საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობებიდან გვხვდება კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*).“ საქართველოს „წითელი ნუსხის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2014 წლის დადგენილების მიხედვით კავკასიური მოცვი (*Vaccinium arctostaphylos*) არ წარმოადგენს წითელი ნუსხით დაცულ სახეობას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- გზმ-ის ანგარიშში, რეგიონის ზოგადი დახასიათების ქვეთავში წარმოდგენილია ფლორისტული დარაიონების სქემა და არა გეობოტანიკური დარაიონების სქემა, როგორც მითითებულია დასახელებაში, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- გზმ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ქვეტყეში ვითარდება ბუჩქოვანი სახეობები, როგორცაა *Laurocerasus officinalis*, *Rhodendron luteum*, *Ilex colchica* და ბალახოვანი სახეობები, როგორცაა *Rumex acetosella*, *Paris incompleta*, *Cardamine bulbifera*, *Pachyphragma macrophylla*, *Anemone caucasica*“. ბალახოვანი სახეობები ქმნიან ბალახოვან საფარს და არა ქვეტყეს. შესაბამისად ტერმინოლოგია საჭიროებს დაზუსტებას ან/და კორექტირებას;
- გზმ-ის ანგარიშის 4.4.1. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „პროექტის ტერიტორია ნენსკრა-ნაკრას წყალშემცველი აუზის ბოტანიკურ-გეოგრაფიული რაიონის შემადგენლობაში შედის. აღნიშნულ

რაიონში კოლხური ელემენტების სიჭარბე აღინიშნება, რასაც ქვემო ნაწილში წაბლნარ-წიფლნარი და შერეული პოლიდომინანტური კოლხური ტყეები ცვლის, უფრო ქვემოთ კი წარმოდგენილია წაბლნარ-მუქწიწვიანი და წიფლნარ-მუქწიწვიანი ტყე.“ დაზუსტებას საჭიროებს რომელ ნაწილშია კოლხური ელემენტების სიჭარბე წარმოდგენილი და რატომ არ განიხილება აღნიშნული ჩანაწერით წაბლნარ-წიფლნარი და შერეული პოლიდომინანტური კოლხური ტყეები კოლხური ელემენტების სიჭარბედ.

გთხოვთ, 2 თვის ვადაში უზრუნველყოთ დაზუსტებული/დამატებითი ინფორმაციის სააგენტოში წარმოდგენა. აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით დაზუსტებული ინფორმაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

პატივისცემით,

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

